საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №492

თბილისი „24“ 05 2018 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 მაისის N89/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 22 მაისის N607312 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს სსიპ - პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის მსურველთა რეგისტრაცია და რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 28 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ქეთევან ნატრიაშვილი
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი